ხუთშაბათი, მარტის 20 1919 წ. ფასი ათი შაური. № 45.

ჩვენი ოკეანე

ყოველ ბოლოდ ერთ გვერდზე.

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინაღვლა მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თოფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. 3 თვით 25 მან. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. უკანასკნელზე 50 კ. ქალაქ გარეთან მიღებული განცხადება დირს ერთი ფრად. **საშვლოვიარო განცხადება:** ოთოოჯერ არა ეშვტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

კანტორა ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეფუკი, და ოლია, ძმა შალვა ბელიტადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ მარტის 18, ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

მარიამ (მარო) მიხეილის ასული ლეკვიაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. გამოსვენება და დასაფლავები მოხდება მარტის 21 (ახ. სტილით), დღით პარასკევს, ნაშუადღევის 3 საათზე, საფირჩხის სასაფლაოზე. მისამართი: კაზაკოვის ქუჩა, აბაშიძის სახლი (ყოფილი კანდელაკის). 2—1

ხუთშაბათს, 20 მარტს,

ნ. გამყრელიძის ცირკში

საძველმოქმედო მიზნით გაიმართება

დიდი არა ჩვეულებრივი წარმოდგენა.

მონაწილეობას მიიღებენ ახლად ჩამოსული პირველ ხარისხოვანი მსახიობები.

იქნება ძრაველი გასართობები.

წარმოდგენის დასასრულ ამერიკული აუქციონი. დაუკრავს მუსიკა.

განცხადება

ქუთაისის სამხედრო უფროსისა.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 10 მარტიდან № 19 ბრძანებისა, ჩვენდამი რწმუნებულ საგმართველოში შესდგა კომისია ჩემი თავმჯდომარეობით და წარმომადგენელთა: ქუთაისის მაზრის ერობისა—შალვა იოსების ძე სანგბლიძისა, ქუთაისის აქციონა პროფესიონალურ კავშირისა—ექიმ გიორგი ბადრიძისა და ქუთაისის საგუბერნიო ექიმის—დავით ლორთქიფანიძის წევრობით სხვა და სხვა გპიდგვიფურ ავათმყოფობასთან საბრძოლველად გაწეულ ექიმ-ფერშალთა სიის შესადგენად. კომისიამ განიხილა აქიმთა პროფესიონალური კავშირის მიერ წარმოდგენილი სია გასაწევ აქიმთა მათი ნამსახური დროსი კოეფიციენტთან ერთად. ამ სიაში ეგზ. ... ...

კაცის „უმაღლესობას“, ეს ცხრა თითის „უმაღლესობას“ ამჯობინებდენ: მაგრამ ნ. ჟორდანიამ იცის, უთუოდ, რომ ვილსონი პარიზში „ხალხთა ლიგის“ ხუხულას აშენებს და ნიუიორკში კი ოთხ მანქვალიან ელექტრონის ზე-დრედნოუტებს.

და თუ მენშევიკების პროპაგანდისტები თავიანთ პარტიული ორგანიზაციების

„იაჩეიკებიდან“

და „კოლექტივებიდან“

წევრთა სწორ რეგისტრაციას გაუგზავნიან პარტიის უხუცესებს, მაშინ თეთრი გიორგის ქანდაკებას თავის სიძლიერეს, — მიწაზე განრთხმულ გველეშაპს, — ისევ დაუბრუნებენ.

ამით მოლო მოვლება მენშევიკების „საბნის პოლიტიკას“, და კვეკ-მალიობას ოცდაოთხ საათიან ტაქტიკაში. დღიურ საგზლად აღარ ყოფნით ჩვენი ქვეყნის მესვეურებს თავიანთი იდეოლოგია და წარსულ დროთა სიმსუქნე რამდენ ხანს ეყოფათ, ეს ალბათ ისტორიის საქმეა.

ალე.

პატრიარქალური გვარეულოგის საზოგადოება.

(წერილი მეორე).

როგორც პირველ წერილში აღვნიშნეთ, მომენტი აბსოლიუტური ხალხის გამრავლებისა აიძულებს ამ ხალხს გამოიგონოს ახალი საშუალება ბრძოლისა არსებობისათვის.

ამიტომ პირველ ყოფილმა კომუნისტურმა საზოგადოებამ, რომელიც მხოლოდ ნადირობით ცხოვრობდა, როდესაც მას ეგ აბსოლიუტური მომენტი დაუდგა, ე. ი. როდესაც მან ნადირობით თავი ველარ ირჩინა, მეჯოგეობას და მიწის მუშაობას მიჰყო ხელი.

მეჯოგეობა ამ ნაირად გაჩნდა: მონადირეებმა ზოგიერთი მხეცი მიიჩვიეს და გააშინაურეს, ჯერ გასართობათ და შემოვლა და მოშენება მათ შეურხეობად გადააქციეს. ეს შეურნეობა კი 3—4-ჯერ უფრო მეტ ხალხს კვებავდა განსაზღვრულ მიწაზე, ვიდრე ეს პირველ-ყოფილი კომუნიზმის დროს იყო.

მიწის მუშაობა, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, დედაკაცმა გამოიგონა, რადგან იგი ორკეცობის თუ ბავშიანობის დროს იძულებული იყო ერთ ადგილზე დაბინავებულიყო და ისეთი საქმისათვის მოეკიდა ხელი, რომელიც არაფერ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

შემდეგ გარემოებისდამიხედვით, რაც ცხოვრება თან და თან ძნელდებოდა, მამაკაცებიც კიდებდენ ხელს მიწის დამუშავებას, რა თქმა უნდა, სადაც ამას ადგილი უწყობდა ხელს. მხოლოდ მამაკაცს ბავშვების მოვლა არ აწუხებდა, და მას შეეძლო მეტი დრო და ენერგია მოეხმარებია ამ ახალი დარგის მეურნეობისათვის.

რასაკვირველია, მაშინდელი მიწის მუშაობა და მიწის სამუშავო იარაღები ახლანდელს არ ჰგავდა: წვეტიანი ჯოხი მიწის ამოსაჩუჩქნად, მერე კაკვი წვერიანი დასახნავად თუ დასაფხაჭნად და გათავდა; მიუხედავათ ამ პრიმიტიული ტექნიკისა მიწის მუშაობა მაინც ძალიან ხელსაყრელი მეურნეობა იყო. იგი თან და თან ვითარდებოდა: ადამიანი შრომის იარაღებს აუჯობესდება; მან შინაური ცხოველების ძალაც გამოიყენა ამ საქმეში და საქმე იქამდი მიიყვანა, რომ ერთ ოთხ-კუთხ მილზე 3—4 კაცი ირჩენდა თავს. მაშასადამე პირველ ყოფილ კომუნიზმთან შედარებით, როცა 3—4 კაცს 10 ოთხ კუდხი მიწა სჭირდებოდა, შემოსავალი მიწისა 10-ჯერ გაიზარდა. ეხლა საზოგადოების რაოდენობაც გაიზარდა: იგი უკვე რაოდენიმე ასი კაცისაგან შესდგებოდა შრომის გაყოფილებამ და გართულებამ გამოიწვია ახალი განაწილება ამ შრომისა. განსაკუთრებული მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში მიიღო მომწესრიგებელი (ორგანიზაციული) და აღმასრულებელი შრომის განაწილებამ. პირველ-ყოფილ კომუნიზმში შრომის სიმარტივის გამო მოწესრიგება შრომისა ყველას შეეძლო. ეხლა კი, როდესაც საჭიროა ათასუშავო რამოდენიმე ასი კაცი, როდესაც საჭიროა საზოგადოების მოთხოვნილება გაითვალისწინო, რაოდენიმე განსაზღვრული დროით, როდესაც საჭიროა მწყობრი და მიზანშეწონილი მოქმედება საზოგადოების ყველა [illegible] განსაკუთრებული ცოდნის და გამოცდილების პირი უდგეს საქმეს სათავეში, რომ რიგიანად მოაწყოს იგი. ასეთი მცოდნე და გამოცდილი პირები უფროს მამაკაცებიდან გამოდიოდენ. ისინი საქმეს აწყობდენ, აწესრიგებდენ, ბრძანებას ცემდენ, სხვები კი საქმეს ასრულებდენ. ამ ნაირად ჩაისახა შრომა გამომწესრიგებელი (ორგანიზატორული) და აღმასრულებელი.

ამ ნაირად დამყარდა ახალი ურთიერთობა ადამიანთა შორის: ერთ პიროვნებას მიენიჭა უფლება ადამიანების მთელ ჯგუფზე. ეს საქმის მომწესრიგებელი და მბრძანებელი პირები ისტორიაში პატრიარქების სახელით არიან ცნობილნი (პატრიარქი ბერძნული სიტყვაა და შესდგება ორი სიტყვიდან: პატერ-მამა და არქო — ვმართავ, განვაგებ).

მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელსაც ისინი განაგებენ, ეწოდება პატრიარქალური საზოგადოება.

როგორც ვხედავთ, პატრიარქალურ საზოგადოებაში უკვე დამყარდა უთანასწორობა ადამიანთა შორის და ეს უთანასწორობა ეკონომიური განვითარების აუცილებელმა პირობებმა გამოიწვია: იგი არც ციდან ჩამოვარდნილა ადამიანთა დასასჯელათ და არც ქვესკნელიდან მოუტანია ეშმაკს.

ქართველი.

საქართველოს დალეგასტის განცხადება

უკანასკნელად თბილისში მიღებული ფრანგული გაზეთი „ლომ ლიბრი“ იუწყება, რომ საქართველოს და ლიტვის წარმომადგენლებმა საერთაშორისო საზავო კონფერენციას წარუდგინეს მემორანდუმი, რომელშიც ისინი აცხადებენ მათი მთავრობათა დავალებით, რომ რუსეთის ბედი მათ სრულებით არ აინტერესებთ, რადგან მათი სახელმწიფონი სამუდამოდ გამოვიდნენ რუსეთის შემადგენლობიდან.

ამ მიზეზით მათ არ აინტერესებთ არც კონფერენცია პრინცების კუნძულზედ, რომელსაც ისინი არ დაესწრებიან.

ახალციხის ასპარეზზე.

(გენ. კვინიტაძეს შტაბის ცნობებიდან)

15 მარტი. 18 ს. 45 წ. სროლა-თავდასხმა ფოცხოვის მხრით არა სცხრება.

მზვერავებმა გაიგეს რომ მოწინააღმდეგე პაპანოს ჩრდილოეთით მაგრდება. გუშინ [illegible] ვადელოდან ლტოლვილი [illegible] პოლკის გუნდს და დიდად დაზარალდა; გუნდს 8 კაცი დაეჭრა.

პოლკ. გედევანიშვილი.

16 მარტს, 9 ს. 55 წ. ფოცხოვის მხრით სროლა არ სცხრება. გუშინ საღამოს ჯარმა იპოვა გამოსავალი და დღეს დილით შეუდგა სამხედრო მოქმედებას ფოცხოვის წინ.

პოლკ. გედევანიშვილი.

16 მარტი. 18 ს. 55 წ. ჭრვალზე გადასვლისას, მადგლის არემარეში მტერმა ცეცხლი გააჩინა. მაშინ ჩემი ბრძანების თანახმად ჯარმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგეზე და სამხრეთისკენ შეავიწროვა. მტერს ტყვიისმფრქეველი დაეტოვებინა. 16 ს. გადაველით სიმაღლეები ფოცხოვანი შუგლავრის არეში.

გენ. კვინიტაძე.

16 მარტი. 40 წ. დამატებითი მოსულ ცნობებით შუგლავრის ბრძოლაში ქვეითა პოლკმა ტყვიისმფრქეველი წაართვა. ჯარმა სადამოთი მიატანა შუაწყალს, შუგლაურს, ქილვანს და ჭირვალს.

პოლკ. გედევანიშვილი.

გუშინ, 16 მარტს ფოცხოვის რაიონის რამოდენიმე მცხოვრებლები მოვიდენ ჩვენთან მორჩილების გამოსაცხადებლად. დღეს, 17 მარტს ფოცხოვის რაიონის 62 სოფლის წარმომადგენელნი მოვიდენ ჩემთან სოფელ ვადელში და მოხოვეს სამხედრო მოქმედების შეჩერება. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან მიიღონ ჩვენი პირობები.

მათ მიიღეს ჩემ მიერ წარდგენილი პირობები სახელდობრ: 1) მთელი იარაღის და საომარ მასალის ჩაბარება, 2) მეთაურების და ამბოხების მომწყობთა გაცემა, 3) ახალციხესა და აბასთუმანში მთელი ნაძარცვის დაბრუნების ჩაბარება. დელეგაციის მეთაურები იყვენ სურვეტ ბეგ ჰასან ბეგოვი და ზადეი-ახმედ-ბეი-ფოცხოველი; უკანასკნელი ყარსის მთავრობის მიერ ფოცხოვის რაიონის კომისარად იყო დანიშნული.

დამფუძნებელი კრება.

მესამე სხდომა 18 მარტი.

თავმჯდომარეობას ალ ლომთათიძე.

მდივანი კონ. ჯაფარიძე.

დეპუტატობის და მოხელეების შეუთავსებლობა.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შემოაქვს შემდეგი საკანონმდებლო წინადადება დეპუტატობის და მოხელეობის შეუთავსებელობისა და დეპუტატის დიეტის [illegible]: 1) [illegible] დაწესებულებებში მოსამსახურენი, არ შეიძლება იმავე დროს იყვნენ დამფუძნებელ კრების წევრებად.

გამონაკლის შეადგენენ: მთავრობის წევრები (მინისტრები), მათი ამხანაგები, ელჩები და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის წევრები. ამ უკანასკნელთათვის შეთავსება დასაშვებია.

2) ადგილობრივ თვითმართველობათა გამგეობის წევრებს და ხმოსნებს არ ეკრძალებათ იყვნენ იმავე დროს დამფუძნებელი კრების წევრათ.

ავითარი ჩარევა არ შეიძლება. პარლამენტის როლში თუ კერძო მოქალაქე გამოვიდა, ან მთავრობის დამხმარე ორგანოების მეთაურნი და მოსამსახურენი, მაშინ არც პარლამენტი იქნება, არც მთავრობა. აი სწორეთ მაშინ იქნება ის გაუგებრობა, თვითნებობა და აწეწდაწეწა, რომელსაც რევოლუციის ხანაში დღემდი ადგილი ქონდა, და რომელმაც მთავრობას ძალაც წაართვა და ხალხის თვალში სახელიც გაუტეხა.

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენთვის აშკარა იყო ერთი მხრით მთავრობის სისუსტე, მეორე მხრით ხალხის უდისციპლინობა. ამას ვითმენდით, დროებით ურიგდებოდით, თუმცა აშკარაო ვხედავდით, რომ ამით სახელმწიფოს საქმე ზარალობდა. ამას ითმენდა მთავრობაც, მიტომ რომ ის არ იყო მტკიცე ნიადაგზე, არ იყო იმდენათ უფლება-მოსილი, რამდენათაც აწი იქნება და მასა არ უდგა თავში ისეთი პარლამენტი, როგორც შესდგა საერთო არჩევნების შემდეგ.

დღეიდან კი საქმე არსებითად უნდა შეიცვალოს. პარლამენტიც კანონიერია და მთავრობაც მტკიცე უნდა იქნეს, ხალხიც ვალდებულია კალაპოტში ჩადგეს და თავისი ნებით არჩეული მთავრობა დააფასოს.

თუ პატივსა ვსცემთ დემოკრატიულ არჩევნებს, თუ ვემყარებით რესპუბლიკანურ წესწყობილებას და გვწამს არჩეული მთავრობა, მას კიდეც უნდა დავემორჩილოთ და გავამართლოთ არჩევითი წესის ღირებულება და დემოკრატიული წესწყობილების უპირატესობა და თუ არა მაშ რაღაზე ვიკლავდით თავს და ვეტრფოდით რევოლუციას, რომელმაც მრგვიელინა ეს ბედნიერება?

რევოლიუციის ხანაში ბევრი დროებითი ორგანო გაჩდა, ბევრი კერძო დაწესებულება აღმოცენდა; მათ ქონდათ თავისი აზრი და ერთგვარი მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტიურათ გაუგებრობისა გამო მათი მოქმედება ხშირად თავის მიზანს ვერ აღწევდა. მთავრობასა და ამ ორგანოებს შორის განწყობილება ვერ დამყარდა; ხშირად მთავრობის განკარგულება გაბათილდა, ხშირათ მთავრობა იძულებული შეიქნა ამ დაწესებულებათა არსებობისათვის ანგარიში გაეწია და ამით კი საზოგადო საქმეს ზიანი მიეცა.

უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მთავრობას მაგალითად პროფესიონალური კავშირები.

პროფესიონალური კავშირი იდეით კარგი დაწესებულებაა, მაგრამ ისეთი გადაგვარებული სახით, როგორითაც ჩვენში ზოგიერთი კავშირია, კარგი და სასარგებლო კი არა ცუდი და გამანადგურებელი შეიქნა. ხშირად არის ცხოვრებაში რომ ნივთი თავის თავად კარგი რამაა და საჭიროც, მაგრამ ცუდად მოხმარების გამო საზარალოა.

მტკიცე მთავრობა არ შესდგა. მთავრობაში უნდა იქნენ ღირსეული პირები, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, თუ მათ არ ექნათ საკმაო ძალა და სრული უფლება.

მტკიცე მთავრობის ძალა უფლება უნდა იქნეს ცხადი და აშკარა, რომ ხალხიც დარწმუნდეს მათ არსებობაში და ცხოვრებასაც დაეტყოს მათი შრომა. მთავრობის განკარგულებას თუ წინ რამე გადავლობა, მთავრობის განკარგულება თუ აღსრულებამდი ათასნაირად ასწონ დასწონა ყოველმა მოქალაქემ, დაქვემდებარებულმა ორგანომ ან კერძოთ შემდგარმა კავშირმა, მაშინ მთავრობა უმნიშვნელო იქნება და მისი არსებობა არსებობის სახით იქნება. მართალია მთავრობა შეუმცდარი არ არის, მთავრობის მოქმედება განუსაჩივრებელი არ უნდა იქნეს, მაგრამ მთავრობის კონტროლი მხოლოდ პარლამენტს უნდა ეკუთვნოდეს; მთავრობის მოქმედებას პარლამენტი გაარჩევს, დააფასებს, შეცვლის, შეასწორებს და სხვა.

მთავრობა პასუხს აგებს პარლამენტის წინაშე, პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობას; ამგვარათ მთელი ერი პარლამენტის სახით თვით განაგებს თავის საქმეს, მთავრობასა და პარლამენტს შორის უკვეა ის კავშირი, რომელიც გულისხმობს ხალხის კონტროლს. საზოგადოებაში ახლავე უნდა განმტკიცდეს ის რწმენა, რომ მთავრობის შედგენაც და მისი კანტროლიც პარლამენტის საქმეა და არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) დამფუძნებელ კრების წევრს, გასამრჯელოთ დაენიშნოს თვიურად 1500 მან.

4) არავის არ აქვს უფლება აიღოს ჯამაგირი ერთსა და იმავე დროს დამფუძნებელი კრებიდან და სახელმწიფო დაწესებულებიდან, თუ ადგილობრივ თვითმმართველობიდან.

5) ყოველი წევრი დამფუძნებელი კრებისა, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებებში მსახურებს, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში, დღიდან კანონის მიღებისა, წარმოადგინოს საბუთი იმისა, რომ მან შეუთავსებელი თანამდებობა დასტოვა; წინააღმდეგ შემთხვევაში მის ადგილს შემდეგი კანდიდატი დაიკავებს.

პრეზიდიუმის არჩევნები.

დამფუძნებელი კრება ირჩევს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარის ამხანაგებათ: პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს (ეროვნულ დემოკრატ.), სიმონ მდივანს (სოც.-ფედ.) მდივნებათ: გიგო ნათაძეს (სოც.-რევ.) და ქრისტინე შარაშიძისას (სოც.-დემოკ.).

კომისიები.

დამფუძნებელმა კრებამ აირჩია 4 კომისია: **სარეგლამენტო** 7 წევრისაგან, **საკონსტიტუციო** 15 წევრისაგან, **საფინანსო-სამეურჯეტო** 15 წევრისაგან და **სარედაქციო** 7 წევრისაგან.

სარედაქციო კომისიაში არჩეულ იქმნენ სოც.-დემ.: რ. არსენიძე, ქრ. შარაშიძე, სოლომონაშვილი და ი. გომართელი, ერ.-დემ. ი. მაჭავარიანი, სოც.-ფედ. ს. ფირცხალავა და სოც.-რევ. გ. ნათაძე.

სარეგლამენტო კომისიებში: სოც.-დემ. ლეო ნათაძე, რ. არსენიძე, პ. საყვარელიძე, იმნაიშვილი; ერ.-დემ. გ. გვაზავა, სოც.-ფედ. ი. მარიაშვილი, ს.-რევ. ი. ნუცუბიძე.

საკონსტიტუციო კომისიაში. რ. არსენიძე, სერგო ჯაფარიძე, პ. საყვარელიძე, მ. რუსია, კ. პანიევი, კ. ჯაფარიძე, მ. ფალავა, წულაია, რ. ჩიხლაძე. ერ.-დემ: ს. კედია. გვაზავა, ფედ. ი. ბარათაშვილი.

საფინანსო სამეურჯეტო კომისიაში. თოფურიძე დ., ელიავა ნ., ცინცაძე ნოე, შარაშიძე დავით, პანიევი კ, ონიაშვილი დ., ჭიაბრიშვილი ან., ელიგულაშვილი, ურატაძე, ჭავჭანიძე ი.

ერ.-დემ. ქიქოძე გ., ასათიანი ა., ს.-ფედ. სიმონ მდივანი; ს.-რ. ნათაძე.

კალენდარი.

მარტი 31 დღე 1919 წ.

ძველი სტ. 7 მარტი. **20** მოვარე 19 დღისა.

ხუთშაბათი.

მე—18 დღე დიდ მარხვისა.

ქართვ. წმ. მღვდელ მოწამეთა ქერსაენეთის ეპისკოპოზთა ბასილ, ეფრემ, კაპიტონ, ევგენ, ეთერ და მისთანათა.

ქათოლ. წმ. თომა, პეტრე და ფელიცატის.

† ნინო ორბელიანი.

ველარ იხილა სამშობლოსათვის თავდადებულმა სამშობლოს ბედნიერი დღეები. და განშორდა ამ სოფელს ყველასაგან დავიწყებული, მარტოხელი, ობოლი.

ვინ იყო ნინო ორბელიანი? მისი მოთხრობები ჩვენი ცხოვრების სინამდვილის იდეალისა თუ უკეთესობის შეენიერს ხელოვნურ დასურათებას წარმოადგენენ.

იმავე დროს თვითეული მისი ხელოვნური ნაწარმოები გამთბარია ქალური სინაზით, სიყვარულის გრძნობით, ჩაგრულთა და მაშვრალთადმი თანაგრძნობით.

გარეგანი ფორმაც ხომ საკვირველი შეესაბამება შინაარს: ენა მჩატე, ტკბილი, საამო, მომხიბლველი.

დიაღ! ნინო ორბელიანი—სახალხო მწერალი იყო.

და მისი შემოქმედება, რასაკვირველია, მისი სულის ანარეკლს წარმოადგენს.

ნინო ორბელიანი ცხოვრებაშიაც ტკბილი, მომხიბლველი, თავმდაბალი და იმავე დროს თავმოწონე და დარბაისელი ქალი იყო.

და ჭირში ნუგეშისმცემელი და ლხინში გამამხიარულებელი სიკეთილის წინ არავინ ანუგეშა და არავინ გაამხნევა!

ეს დიდ დანაშაულად ჩაგვეთვლება.

მაგრამ შემოქმედების ნაყოფი არ იკარგება და ჩვენგან არ დაფასებულ მწერალ ქალს, ჩვენი შვილები დააფასებენ რომელთ გულშიაც მისი ნაწარმოებნი სიყვარულისა და ყოველსავე კეთილშობილ გრძნობას დანერგავენ და აზრდიან.

ნინო ორბელიანს მომავალი თაობანი არ დაივიწყებენ! **ვასილ წერეთელი.**

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ამიერ კავკასიის კონფერენციისათვის. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას თბილისში მყოფ თავის დიპლომატიურ წარმომადგენელ ლ. ევანგულოვისთვის დაუვალებია მოლაპარაკება გამართოს საქართველოს მთავრობასთან ამიერ კავკასიის კონფერენციის მოწვევისა, კონფერენციის ადგილის დროსა და შემადგენლობის საკითხის შესახებ.

✦ **მადლობა მხედრობას.** ჩვენი ჯარის მამაცური მოქმედების გამო სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ გაუგზანა ახალციხეში გენერალ კვინიტიძეს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულწრფელი მადლობა ჯარს სამშობლოსა და რესპუბლიკის სამსახურისათვის.

სამხედრო მინისტრი ვიორგაძე.

✦ **ცირკი.** დღეს 29 მარტს ქუთაისის ცირკში გაიმართება არაჩვეულებრივი დიდი წარმოდგენა. მონაწილეობას მიიღებენ ახლად ჩამოსული გამოჩენილი მსახიობები. ანტრაქტების დროს დაუკრავს ორკესტრი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება აუქციონი. ფასები ჩვეულებრივია.

გადამდები სახადი. ქუთაისში გადამდები სახადი ყოველდღიურად ძლიერდება. სახადის წინააღმდეგ ჯერ—ჯეროობით არავითარი ზომები არ არის მიღებული.

პატარა ფელეტონი.

ვაი—ვაი! უი—უი!

ვენრიხ ვეინემ სთქვა: თავი შევადარე დონ-კიხოტ ლამანჩელს და ორივე ერთრიგათ შეშლილები უნდა ვიყოთ, მაგრამ თავბოლო შეკცეულათო: დონ—კიხოტს ეჩვენებოდა ქარის წისქვილები გმირებათ, მე კი გმირები მეჩვენებიან ქარის წისქვილებათო.

ამ დროს, რომ გეინე მოსწრებოდა და საქართველოში გეწვეოდა, უთუოთ გაკვირდებოდა: „რა მდიდარი ყოფილა ხორბლით საქართველო, სადაც ერთი ათასად მეტია ქარის წისქვილები, ვიდრე შთელ ევროპინიერეთაზეო“.

იგი დარწმუნდებოდა, რომ გმირები გმირები არიან და არა ქარის წისქვილები და კიდე მეტად გაოცდებოდა: „ამ უწისქვილო ქვეყანაში ეს ურიცხვი გმირები რას სჭამენო?“

რას სჭამენ?!

ეკონომისტები ტყვილათ კი არ არიან,—ორნი მოუგონიათ: შეკრებილან, ასოციაცია შეუქმნიათ, და [illegible] წევრები ჩამორიგებიათ დღეს ერთთან ეწვევიან ქეიფს, ხვალ მეორესთან,—გამოდის, სულ სხვისას სჭამენ თითქმის.

ტყვილა კი არ იძახდენ თურმე, რას ქვია ქართველობა, ყველა ერები ძმები ვართო: ვინც მიიცვლება, მემკვიდრე მაგენი არიან: დარჩათ რუსეთის საინტენდანტო საწყობები, დარჩათ გერმანიის ბარგი ბარხანა და ამ ბოლოს „ბოლშევიკებმაც“ დიდი ძღვენი მოართვეს.

ლტოლვილების შებრალება და ქრისტეს გვავალებს განურჩევლათ „შეიბრალეთო“, მაგრამ ერთი დედა მონაზონი შებრალებამ სულ წარწყმიდა...

ვაი, თუ „ბოლშევიკების“ შებრალება მეტიდრო შეკავშირებათ გადაიქცევს, იმ საწყალი მონაზონის და ხუცესის არ ეყოს?!

წადი მერე და უყარე კაკალი!

ერთი რამე კი გვიშველის:

Малая медвѣдица-ზე გოგია მუშას ცხადათ შეუნიშნავს შიშველ-ტიტველი კაცები; მაშ Большая медвѣдица-ზე კიდე მეტი იქნებიან შიშველ-ტიტვლები.

ეტყვს ვარეშე არის, რომ იქ უთუოთ ბურჟუები იმყოფებიან, ვითარცა ერთად ერთი მიზეზი სიშიშვლისა.

იმ დევიზის მიხედვით, რომ უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ რევოლუცია, დარაზმვა ეჭირვებათ იქაურ პროლეტარებს. ამ მიზნით მენშევიკები მიდიან малая медвѣдица-ზე და ბოლშევიკები большая медвѣдица-ზე.

გამიგონია, რომ სოციალისტები ზეცას ადიანო, მაგრამ გადაკრულ სიტყვათ მიმაჩნდა.—

ღმერთო! მოგვასწარ მალე!

იქნებ შეგეშინდესთ, რომ ფედერალისტები ქანაობდენ და იმღერდენ тихо качаитесь качели; ამ დროს უპატრონებდენ ერთს თვალს ნაციონალისტებს, მეორე თვალს სოციალისტებს; ბოლოს კი აშკარათ воздушные поцѣлу-ები გაუხშირეს ბოლშევიკებს.

ამითთანა სახელ გატეხილი სასძლო ვერ დაქორწინდება.

დარჩებიან რევოლუციონერები, ფინიასავით მოუსვენარნი, ფინიასავით ბრუნდზე და მართალზე მოყეფარნი, მაგრამ ნაგაზების დაუხმარებლათ ფენებლები.

უჰ, ღმერთო ჩემო! რა თავისუფლათ ამოვისუნთქებთ! წავდგეთ და ვილოცოთ:

„მამა ოჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, ბური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“.

ღმერთი იფიქრებს მე მადიდებენო, სოციალისტების ბელადი იფიქრებს მე მადიდებენო და სულ ვაგონი ვაგონზე მოგვიდა ერთისგანაც და მეორესგანაც ფქვილი. დავჯდეთ და ვაცხოთ „ფალუსტაკები“; თანაც ჩვენებურათ შემოვსძახოთ:

„ყანწით ვსვამ ღვინოს,

„შენ სადღეგრძელოს,

„და გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს“.

კაინმა, რომ აბელი მოჰკლა, მაშინვე აღინიშნა, რომ ჩვენი პატარა პლანეტა დიდი ჩხუბის ასპარეზია.

ამ დღეებში ფედერალისტები აცხადებენ: „მობრძანდით ჩვენ სალამოზე, სადაც დაუცხრომელი ქეიფი იქნებაო“.

ისევ შევბოდენ, ნაოქვამი რომ არის:

„ქვეყანა იქცეოდაო,

„ქებაძე ბუქნას შვებოდაო“.

თვითონ სოციალისტებმა ვერ მოსძოვეს ერთად და წაიჩხუბნენ სოციალ დემოკრატები სოციალ-რევოლიუციონერები.

სოციალ-დემოკრატებმა შესძახეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესიონალური კავშირი თუ თავის სახელწოდებას გაამართლებს და თავის პირდაპირ დანიშნულებას ემსახურება, უნდა ხრუნავდეს თავისი წევრების პროფესიის ანუ ხელობის გაუმჯობესებაზე, ესე იგი უნდა ცდილობდეს, რომ წევრები გონებით განვითარდენ, ზნეობით ამაღლდენ, ნივთიერათ გაღონიერდენ და სხვა, ერთი სიტყვით, კავშირმა უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ წევრების შრომა ნაყოფიერი იქნეს და მთელი თავისი დარგის გაუმჯობესებით სახელმწიფოს წარმატებას ხელი შეეწყოს.

ეჭვი არ არის თუ ყოველმა პროფესიონალურმა კავშირმა ასე იმოქმედა, მთელი სახელმწიფო ნაწილობრივ გაუმჯობესდება და მთელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი გასწორდება და განმტკიცდება.

ჩვენში სამწუხაროთ ეს ასე არ არის. ზოგიერთი პროფესიონალური კავშირი თავის სახელწოდებას არ ამართლებს და თავის დანიშნულებას არ ასრულებს; ზოგს თავისი მიზანი ვერ დაუსახავს და სამოქმედო პროგრამა ვერ გაურკვევია; ზოგიერთი კავშირი მხოლოდ იმაში ხედავს თავის დანიშნულებას, რომ დადგენილება გამოაქვს მათს წევრებს ასეთი თუ ისეთი ჯამაგირი მიეცეს და ასეთი თუ ისეთი შრომა დააკისრონ, თავის დადგენილებას დაწესებულებას უგზავნიან აღსასრულებლათ; მართალია თავის მიწერილებას მოთხოვნილებას უწოდებენ, მაგრამ ეს შემცდარი სახელწოდებაა, რადგან მიწერილების ასრულება სავალდებულოა და რაც სავალდებულოა, ის უკვე მძანებაა და არა მოთხოვნილება, მართალია სიტყვა მძანება არ იხმარება მათ ლექსიკონში, მაგრამ ძალა მათი დადგენილებისა ასეთია.

თუ კი პროფესიონალური კავშირი თავის დადგენილებას სავალდებულოთ უყენებს სხვადასხვა დაწესებულებას, მაშასადამე პროფესიონალური კავშირი ყოფილა ის ორგანო, რომელსაც კანონმდებლობის და მძანების უფლება ქონია. ასეთ დაწესებულებათ სახელმწიფოში ითვლება მთავრობა და თუ მთავრობის როლში პროფესიონალური კავშირი ჩადგა, მაშინ მთავრობა ვიღას როლშია? თუ პროფესიონალური კავშირის დადგენილება მთავრობის დაწესებულებაში სავალდებულოა, ნაშინ მთავრობა რაღა მოხელეა? ორში ერთი უნდა იქნეს: ან მთავრობა უნდა მთავრობდეს ან კავშირი. თუ პროფესიონალური კავშირი ასრულებს მთავრობის დანიშნულებას, მაშინ ნება გვიბოძეთ, ვიკითხოთ რას ნიშნავს სიტყვა „პროფესიონალური“ და რათ ეწოდება ეს სიტყვა კავშირს?

აი გაუგებრობა და როლების შეცვლა!

ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნება მოხდა ამ ორ წელიწადში, ბევრი ზიანი მიეცა საერთო საქმეს და თუ ეს გაუგებრობა არ გამოირკვა, კიდევ ბევრს უნდა მოვლოდეთ. საუბედურეთ, ჩვენში ის მარტივი ჭეშმარიტებაც საეჭვოა, რომ მთავრობის გადაწყვეტილება ყველასთვის სავალდებულოა და პროფესიონალური კავშირის კი მარტო მისი წევრებისთვის. ჩვენში პროფესსიონალურ კავშირებს უნდა, რომ თავის გადაწყვეტილებას მარტო წევრები კი არა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებაც დაუმორჩილონ, ესე იგი სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, თავისი თავი მთავრობათ აღიარონ. თუ ასეა, მაშ რაღა ადგილი აქვს მთავრობას? წესიერათ მოწყობილი ქვეყანაში ასე როლები არ შეიცვლება; იქ ყველას თავისი დანიშნულება აქვს და ყველას თავისი სამოქმედო ფარგალი; იქ ერთი ორგანო მეორეს სფეროში არ შეიჭრება.

ყოველ შემთხვევაში თუ დღემდი ეს იყო, და ავათ თუ კარგათ საქმე მიდიოდა, დამფუძნებელი კრების მოქმედების შემდეგ და ნამდვილ დამოკრატიულ წესზე დამყარებული მთავრობის შედგენის შემდეგ ასეთ გაუგებრობას ადგილი აღარ უნდა ექნეს, რომ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს და სახელმწიფოს საქმეს მტკიცე მთავრობა ხელმძღვანელობდეს.

ამგვარად დამფუძნებელი კრების პირველი ნაბიჯი უნდა იქნეს მტკიცე მთავრობის შედგენა და რევოლუციის ხანაში აღმოცენებული ორგანოების ზოგის ლიკვიდაცია და ზოგის წესიერ ფარგლებში ჩაყენება.

შემდეგი ნაბიჯი უნდა იქნეს ძლიერი ჯარის შედგენა და ფინანსების მოგვარება—ამაზე შემდეგ...

ტრიფონ ჯაფარიძე.

„ვაი, ვაი, თქვენ შერცხვენილებო, რათ ეწვევით სპეკულიაციასო?!“

სოციალ-რევოლიუციონერებმა შემოსძახეს:

„აუი აუი, თქვენ რომ მიწებს ძალიან ერთმევით და საკუთრებათ სყიდითო, ამაზე მეტი სოციალიზმის ღალატი შეიძლებაო?!“

ეხლა კი ამეხილა თვალი და შევიგენ:
თურმე სოციალიზაცია
ყოფილა წართმევიზაცია,
თურმე სპეკულიაცია
ყოფილა წაღლეჯიზაცია...
სულ აცია—აცია,
წახდა ჩვენი ნაცია.
რა ედარდება გოგია მუშას,
რას კარგავს და რა უშავს?!
ერთი მეფე გვაწუხებდა და ძლივს გადავაგდეთ.
იხეთქა და მაგიერათ ათასი მოგვევლინა, მაგრამ დაადექით ჩემს რჩევას:
თუ გვექნეს საკმაო პური,
ყოველისფერს ავაველოთ ყური.
მაირონიც გვანუგეშებს:

„Но хлѣбъ, какъ все, что прахъ и тлѣнъ:
„Цари, вожди, иная мощь и власть,
„Къ своей цѣнѣ не можетъ не упасть“.

ვაი, თუ იტკინონ რამე და მოკვდენ! თუ ღმერთმა თავისი არ მოიშალა და ჩვენმა პარტიამ მე მომანდო მწუხარების გამოცხადება, მე ამ თავითვე ვამზადებ სამგლოვიარო ლექსს:

სოლიალიზმმა წარმოშო
საქართველოში გმირები,
ადერმეიჯანს არა ჰყავს
რიცხვით იმდენი ვირები.
თუმცა მათ ხელში გვყვია
შიმშილი და შავი ჭირი,
მაგრამ მე გული შემწვია
და ოხვრით მაინცა ვსტირი.
ღმერთმან მიანიჭოსთ აბრაამთან ბინა.
ისევ მოგათავსოსთ, რომ больше не встать.

კალლისტრატე ჩიკვაიძე.

ინგლისური პრესის წნოგები.

რადიკალები და ბერლინის აჯანყება.

რადიკალების დამცველი საბჭო აცხადებს, რომ მას წილი არ მიუღია ბერლინის აჯანყებაში და მთავრობას ამბრალებს, რომ იგი განძრახვით აქეზებდა და ეხმარებოდა ყოფილ რადიკალებს დიტმანის მეთაურობით. ბერლინის უწესოებას არავითარი კავშირი არ აქვს საყოველთაო გაფიცვასთან. მთავრობის დამცველ პოლკების შეიარაღებამ გამოიწვია სისხლის ღვრა, რის შემდეგ ცარცვა-გლეჯას მიყვეს ხელი. მთავრობას სურს კომუნისტები ბრბოს შეუერთოს, რათა თავის ულიერეს მოწინააღმდეგეს დნობა დაუკარგოს.

ამის გამო იყო, რომ კომუნისტურ-რადიკალური პრესა ჩაჩუმეს და ამავე დროს კი ბურჟუაზიულმა პრესამ „ფორვერსტ“-ის პარტიის წინააღმდეგ გაილაშქრა. ვოლფის ბიუროს დაიწყო საზოგადოების განსაკუთრებით გაღიზიანება და ბოლოს გამოუშვა ცნობა ვითომ 150 პოლიციელი მხეცურათ მოკლათ. ამით ნოსკემ ისარგებლა და უკანონოთ შემოიღო საგანგებო სავალე სასამართლო... (გაუგებარია). ლიუდენდორფის საგანგებო ზომები დაჩრდილა ებერტის, ნოსკეს და შეიდემანის დესპოტიზმმა და ვოლფის ბიუროს სიცრუემ. სწარმოებს უკანონო დაპატიმრება, კონფისკაცია, ძალმომრეობა, რომლის დროს მცხოვრებთა სიცოცხლესაც არ ინდობენ. ყველა ეს აძლიერებს მძულვარებას მთავრობისადმი, რომელსაც ყოველ ჯამს მოელის დამხობა. საერთო მძულვარენიუ-იორკის გაზეთი „ტრიბუნა“-ს პარიზელი კორესპონდენტი სწერს: დანამდვილებით მართალია ის, რომ ხალხთა ლიგის საკითხი შეტანილ იქნება არა თუ საზავო ხელშეკრულებაში, არამედ ოფიციალურ წრეებში სწამთ.

საქართველო სომხეთის კონფერენცია.

საქართველო-სომხეთის დიპლომატიურ რწმუნებულთ საბჭოზე მიღებულ-დადგენილებანი 28 თებერვალს და 3 მარტს 1919 წ.

დასწრენ: საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები: ვ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარიშვილი, ს. მდივანი.

სომხეთის მთავრობის წარმომადგენლნი: მ. არუთინიანი, ს. მამიკონიანი, ს. ხაჩატურიანი, ა. ხონთქარიანი.

დაადგინეს:

1) სომხეთის და საქართველოს წარმომადგენლები ოფიციალურად სცნობენ ორივ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას.

2) მიღებულ იქმნა ტრანზიტის პრინციპი, საქონლის გადატან-გადმოტანა რკინის გზაზე ორივე რესპუბლიკათა შორის. შესაფერისი ხელშეკრულება უნდა იქნეს დაუყონებლივ დადებული ორი სახელმწიფოს პასუხის მგებლობით.

3) მოსპობილი უნდა იქმნეს გადასვლა-გადმოსვლის ნებართვის აღება საქართველო და სომხეთის შორის. გამონაკლისს მხოლოდ ლტოლვილნი შეადგენენ, რის შესახებ ორივე სახელმწიფოს, სუსაფრთხოების ნაკლებულობის გამო, შეუძლიანთ საბანდო ზომები მიიღონ.

4) დიპლომატიურ მისიის მისვლა-მოსვლის განახლება ორთავე რესპუბლიკის შორის.

5) საქართველოს რესპუბლიკის დაწესებულებებიდან უნდა დაბრუნებულ იქმნეს სომხეთის მთავრობის განკარგულებაში ყველა ის მოწმობები, და საბუთები, რომელიც სომხეთის ტერიტორიის საქმეს შეეხება. რაც შეეხება სადავო საკითხის მასალებს უნდა გადადებულ იქმნას სამშვიდობო კონფერენციამდე.

6) თბილისში არსებული საწყობები, რომელიც სომხეთის საკუთრებას შეადგენს, უნდა დაუბრუნდეს სომხეთის მთავრობას, გარდა საარტილერიო ზოგიერთ მასალებისა, რომლისთვისაც საგანგებო შეთანხმება უნდა მოხდეს.

მ. არუთინიანი, ს. მამიკონიანი, ს. ხაჩატურიანი, ა. ხონთქარიანი, ვ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, კ. საბახტარიშვილი, ს. მდივანი.

პასუხი „საჭამიასერელს“

გაზეთ “სოციალ-დემოკრატის“ მე-50 ნომერში მოთავსებულია წერილი ბ-ნ საჭამიასერის“ საჭამიასერის რაიონში დაფ. კრების არჩევნების შესახებ. ბ-ნი „საჭამიასერელი“ სწერს თავის წერილში, „რომ საჭამიასერზე მოხდა მიტინგი აურაცხელი ხალხის თანდასწრებით. ნეტა რას უძახის ეს ვაგბატონი მიტინგს? ნუთუ ჰგონია, რომ 60 კაცამდე თუ მოვიდა მიტინგის დღეზე და ისიც თავისი პარტიული ამხანაგები, ეს მიტინგია! სრულებითაც არა. ეს უფრო თქვენებური კოლეკტივის კრებაა-ვიდრე მიტინგი. ამ ეგრედ წოდებულ „საჭამიასერელის“ მიტინგზე“ სხვათა შორის ჩვენც, ორმა ახალგაზდა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის სახელით ვილაპარაკეთ და რისთვისაც „საჭამიასერელმა“ შავრაზმელებათ მოგვნათლა. „საჭამიასერელის“ ვრცლათ მოყავს არ. ხუნდაძის მიერ დაბეჭდილი სიტყვა ამ „მიტინგზე“ იმ არკადის სიტყვა, რომელსაც თავი შეგნებულ პიროვნებათ მიიჩნია და გაბრაზებულმა იმით, რომ ჩვენ იმ რაიონში საგრძნობელი ხმები მივიღეთ, დენიკინის მომხრეებათ მოგვნათლა და იქ დამსწრე ჯარისკაცებს მიმართა: რისთვის მიდიხართ თქვენ დენიკინის წინააღმდეგ, როდესაც ჩვენ საჭამიას-სერზე გვყოლია დენიკინები.“

ასეთი დემაგოგიით ამხელდებს ჩვენს წინააღმდეგ ხალხს. ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, მაგრამ იკოდეს ბ-ნმა არკადიმ და მისმა ამალამ, რომლებიც ფართე-ფართე სიტყვებით უმასპინძლდებიან ხალხს, რომ ბოლოს, როდესაც იქნება საჭამიას-სერის მოქალაქეები ზურგს შეაქცევენ მათს მატყუარა პოლიტიკას და არ გაყვებიან მათ.

გარდა ამისა არკადი ხუნდაძე დემაგოგობს ხალხში, განსაკუთრებით მანდილოსნებში და ეუბნება: რისთვის აძლევთ თქვენ ეროვ.-დემოკრატებს ხმას, როდესაც ისინი ქალების ემანსიპაციის წინააღმდეგნი არიანო. ამაში მდგომარეობს არკადის შეგნება?

ბ-ნი საჭამიასერელი წერს თავის წერილში“ ოთ ამ ზეკლასიური პარტიის წარმომადგენლებმა“ არ აუხსნეს ხალხს თავიანთი პროგრამაო და მოყვენ სოციალ-დემოკრატების გინებასო. მაგრამ ავიწყდება მას, რომ, ვინაიდან ჩვენ ეს მიტინგათ არ მიგვაჩნდა, (არამედ ეს პარტიული კრება იყო) შეეხეთ ჩვენი პროგრამის მთავარ დებულებებს: რომელიც ნათლად გაუთვალისწინეთ და ვაუშუქეთ იქ დამსწრე სოციალ-დემოკრატებს.

თუ როგორ კანონიერათ მიდიოდა საჭამიას-სერზე არჩევნები ეს თვითონ საჭამიასერის მეთაურებმა გასაჯრეს. მაგრამ, როდესაც ერთმა პატივცემულმა პიროვნებამ, რომელმაც არ გაჰყვა სოც-დემოკ. მატყუარა პოლიტიკას და, დაგვიმტკიცა ჩვენ მისი პატრიოტული გრძნობა და მეორე ნუმერს მისცა ხმა, საჭამიასერელი მის მოქმედებას შავრაზმულ მოქმედებას უწოდებს. და თუ ჩვენ შავრაზმელები ვართ ეს თვით „საჭამიასერელის“ სინდისმა გასაჯოს.

შემდეგ საჭამიასერელს თავი მოაქვს იმით, რომ საჭამიასერის არჩევნებში მეტი ხმა ჩვენ მივიღეთო, მაგრამ იცოდეთ ბატონო „საჭამიასერელო,“ რომ დიდებული მგოსნის თქმის არ იყოს „ხმები კი არ უნდა ითვლებოდეს, არამედ უნდა იწონებოდეს.

სილ. და სიმ. ყენიები.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო.

გთხოვთ უმორჩილესათ ნება მოგვეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ტყიბულის სახალხო სახლის საამშენებლო კომისიის სახელით, ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთა, რომელთაც თავისი წვლილი არ დაიშურეს და შეიმოსწირეს ხსენებული საჯალხო სახლის საამშენებლო ფონდის ასაძლიერებლათ. მოგვაბარეს ფულები—წერილნი:

ოთხი თუმანი შემოწირეს: ბატალიონი, ყამაძემ, მაქსიმე კუბლაშვილმა, ვლადიმერ მაღლაკელიძემ, კოლია კოსტავამ და ბ. ლობჟანიძემ, მიხაკო შეხუნაშვილმა—3 მან., ზაქარია ნიჟარაძემ—6 მანეთი, ხუთ-ხუთი მანეთი შემოსწირეს: მარო კუბლაშვილმა სამ. დ. ბერეკაშვილმა, საშა ბერეკაშვილმა. პელაგია ლექვინაძემ, მავრა კანდელაკმა, მარო ბარბაქიძისამ, კირილე დიდიძემ, პავლე კუბლაშვილმა, ბესარიონ გოგაგამ, ბიქტორ ლექვინაძემ, ამროსი სოფრომაძემ, პავლე ცირეკიძემ, სილიბისტრო ცირეკიძემ, სტეფანეს შარვაძემ და იოსეფ სულაქვლიძემ, ბიქტორ გაბაშვილიშვილმა—4 მან. სამ-სამი მანეთი შემოსწირეს: ლარვენტი გვენეტაძემ, თეოდორ ბერეკაშვილმა, ნესტორ დვალიძემ, უცნობმა, ფილიმონ გვენეტაძემ, ნესტორ ლობჟანიძემ, მალაქია, ბიქტორ ლობჟანიძეებმა, ქეხსუროაშვილმა, ვარლამ და ვასილ ცქიფურიშვილებმა და ბ. ლობჟანიძემ.

უცნობებმა 4 მან.

ორ-ორი მანეთი შემოწირეს: ლობჟანიძემ, დანიელ და ნოე ობოლაძეებმა, ივანე და მინა ცირეკიძეებმა. თითო მანეთი შემოწირეს: გიორგი და ივანე ლობჟანიძეებმა, სტუდენტმა კანდელაკმა, მაგრატი ზალიკაშვილი' მარიან კუპატაძემ, კარპე დაიკაკი ნიჟარაძეებმა, სულ შემოწირულია 200 მანეთი.

ტყიბულის სახალხო სახლის საამშენებლო კომისია განსაკუთრებით მადლობას უცხადებს მაკრინე (ბაბუა) ნიჟარაძეს, რომელმაც კეთილ ინება და შეაგროვა ზემოხსენებული შემოწირულება საწირის საზოგადოებაში.

ტყიბულის სახალხო სახლის საამშენებელ კომისიის თავმჯდ. მაგიერ ვლადიმერ ქუთათელაძე.

მდივანი ვანო მიქაუტაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ხელის მომწერთა
საყურადღებოთ

ბაბ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება, დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შეწყვიტოს გაზეთის გზავნა.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის
ყოველ დღიური გაზეთ
„ჩვენი ქვეყანა“-ზე

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი
„საქართველო“
1919 წ. წელიწადი მეხუთე 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.
მისამართი: თფილისი, სასახლის ქუჩა, № 5), (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამისთვის: თფილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელის ბეჭდვაში.